



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“
მაგისტრატურა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

12 ივლისი 2019 წ.

16.07.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი The Management of Informational Technologies
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი, 0619
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ბოსიკაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ონიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა სახელწოდებით “ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი” წარმოადგენს ახალ პროგრამას.

პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: პროგრამის ძირითად საგნები 60 ECTS, პროგრამის არჩევით საგნები 60 ECTS; პროგრამის ძირითად ნაწილში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS). არჩევითი საგნების საერთო რაოდენობა შეადგენს 246 ECTS, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 60 ECTS.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ვიზიტი განხორციელდა 12 ივლისს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს სკოლის დირექტორთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

➤ საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება პირველ სტანდარტს:

- ✓ პროგრამის მიზნებში წერია „პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმატიკის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით. ახალი კლასიფიკატორის შესაბამისად „ინფორმატიკა“ წარმოადგენს დეტალური სფეროს „0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი“ პირველი სვეტის შესაბამის კვალიფიკაციას „0613.1.1 ინფორმატიკა“. სწავლის შედეგები ზოგადი სახითაა და აღწერილია ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, მეტწილად განეკუთვნება სხვა დეტალური სფეროს „0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი“ სხვადასხვა არეებს (0613.1.1 ინფორმატიკა, 0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება, 0613.1.3 ინფორმაციული სისტემები).
- ✓ პროგრამის სათაურის და მისანიჭებელი კვალიფიკაციას წარმოადგენს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ თუმცა, არჩევითი საგნების დიდი ხვედრითი წილიდან გამომდინარე, სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს ამ სფეროს ზედაპირული ცოდნა და სანაცვლოდ გავიდეს სხვა დეტალური სფეროს შესაბამის სხვადასხვა კვალიფიკაციებზე.
- ✓ დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ირიბ (გამოკითხვები) და პირდაპირ შეფასებას

(ქულობრივი გაზომვადი). პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია მოითხოვს დახვეწას, რათა შესაძლებელი იყოს შეფასდეს ყოველი სწავლის შედეგი ცალ-ცალკე.

- საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება მეორე სტანდარტს:
 - ✓ დაშვების პირობა ზოგადია არ არის მითითებული ინგლისურ ენაში რომელი დონის შესაბამისი გამოცდაა მოთხოვნილი, ხოლო სპეციალობის გამოცდა დარგის რომელ არეებს ან თემებს მოიცავს. ასევე არაა განსაზღვრული რამდენი ქულით ფასდება გამოცდა და რამდენი ქულა ითვლება დადებით შეფასებად;
 - ✓ პროგრამაში არჩევითი საგნების მოცულობა კრედიტებში ორჯერ აღემატება ძირითადი საგნების მოცულობას. ასევე დიდია პროგრამის ფარგლებში სტუდენტისათვის შეთავაზებული არჩევითი საგნების რაოდენობა (41 საგანი საერთო მოცულობით 246 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურიდან და არჩევითი საგნების სიმრავლიდან გამომდინარე სტუდენტის მიერ არჩეული საგნების და განსხვავებული მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის არჩევით სხვადასხვა სტუდენტი შესაძლებელია გავიდეს სხვადასხვა კომპეტენციაზე - სხვა დეტალური სფეროს შესაბამის სხვადასხვა კვალიფიკაციებზე (მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სხვა პროგრამების შესაბამისად);
 - ✓ პროგრამის საგნების ფართო შინაარსი (შემოთავაზებული 41 საგანი მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველა ქვე მიმართულებას, იმ მოცულობით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფის საგნების არჩევისას სტუდენტი მიიღებს ვიწრო ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტისაგან განსხვავებულ სპეციალიზაციას) და ბუნდოვანი სტრუქტურა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
 - საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მესამე სტანდარტს, ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა დონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში.
 - საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მეოთხე სტანდარტს, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
 - საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მეხუთე სტანდარტს, ვინაიდან სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით დაწესებულებას სხვა პროგრამებისათვის გააჩნია შიდა და გარე ხარისხის მექანიზმები, რომლებშიც დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგი და პროგრამის შეფასება, ისევე როგორც შეგროვებული რელევანტური ანალიზის საფუძველზე შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები.
- რეკომენდაციები
 - ✓ პროგრამის მიზნების აღწერაში გამოყენებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაციის და პროგრამის სათაურის შესაბამისი ცნებები;

- ✓ შეიცვალოს ძირითადი და არჩევითი საგნების თანაფარდობა, ძირითად საგნებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის საგნების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე
- ✓ ნათლად გასწეროს სწავლების მთლიანი პროცესი - მიმართულების (სამაგისტრო ნაშრომის) არჩევა და ამით ასარჩევი საგნების შეზღუდვის არაცხადი პროცედურა.
- ✓ შემუშავდეს სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული შედეგის მიღწევადობის შეფასებას.
- ✓ დაემატოს საგნებს წინაპირობები;
- ✓ არჩევითი საგნების არჩევას დაედოს წინაპირობები სხვა პროგრამის კომპეტენციაზე გასვლის შესაძლებლობის შესაზღუდად.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მიზნების შეადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს ინფორმატიკის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით. • მისცეს მყარი თეორიული საფუძვლები ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებისა და შემუშავებისათვის, განუვითარებს მათ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მეთოდოლოგიების ანალიზისა და ამის საფუძვლებზე ოპტიმალური მიდგომის სინთეზირების უნარს. <p>პროგრამის მიზნებში ასევე გაწერილია სწავლის შედეგები ზოგადი სახით, სადაც აღწერილია ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნებათ კურსდამთავრებულებს.</p> <p>თუმცა აღწერაში მითითებულია ყოველი მათგანი განეკუთვნება 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი დეტალური სფეროს შესაბამის არეს</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის მიზნების აღწერაში გამოყენებულ იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაციის და პროგრამის სათაურის შესაბამისი ცნებები და არა სხვა ვიწრო სფეროს შესაბამისი (ახალი კლასიფიკატორის შესაბამისად 0613.1.1 ინფორმატიკა არის 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი ვიწრო სფეროს შემადგენლობაში).</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია უნარების ფართო ჩამონათვალით, რომელიც ექნებათ კურსდამთავრებულებს:

- საინფორმაციო ტექნოლოგიებში/ინფორმაციულ სისტემებში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების ეფექტური გამოყენების საფუძველზე (როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინური ჯგუფის კონტექსტში), ცვლად და გაუთვალისწინებელ გარემოში, ბლოკჩეინზე დაფუძნებული კონკრეტული პროექტებთან დაკავშირებული არსებული რესურსებისა და ლიმიტაციების გათვალისწინებით, პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების, შესაბამისი IT არქიტექტურის შერჩევის უნარი;
- IT ინფრასტრუქტურის დაგეგმარებაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- რთული სტრუქტურის სისტემებისა და ქსელების ლოგიკურ-ალბათური მეთოდებით აღწერის, სისტემის მუშაობის უნარიანობის ანალიტიკური და სქემური წარმოდგენის უნარი;
- ორგანიზაციისთვის მმართველობის სტრატეგიის შექმნის უნარი;

- პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან/ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებით რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დამოუკიდებლად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- უნარი, ორგანიზაციასთან, სისტემასთან, პროცესთან დაკავშირებით ერთის მხრივ - არასრული და ხშირად არახარისხიანი მონაცემებისა და მეორე მხრივ - სანდო ინფორმაციისა და ცოდნის სინთეზის საფუძველზე მოახდინოს მაქსიმალურად არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა და სიტუაციის მაქსიმალურად მონაცემებზე დაფუძნებული, ფართო სურათის შექმნის. ასევე, უნარი გაიაზროს მისი დასკვნების სუსტი და ძლიერი წერტილები, მსჯელობის ლოგიკის სიმყარის ხარისხი;
- IT ინფრასტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანის უნარი.
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კომპლექსური პროცესის კანონთან შესაბამისობის შეფასების და ამის თაობაზე დასკვნის გაკეთების უნარი.

ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, არაერთხელ აღნიშნეს, რომ პროგრამა გულისხმობს მოამზადოს "IT სპეციალისტები მენეჯერის თვისებებით", რაც პროგრამის სათაურის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისია, თუმცა ამასთან, არჩევითი საგნების დიდი ხვედრითი წილიდან გამომდინარე, სრულდენტმა შესაძლებელია მიიღოს ამ სფეროს ზედაპირული ცოდნა და საგნების შესაბამისად დაჯგუფების შემთხვევაში, სანაცვლოდ გავიდეს სხვა ვიწრო სფეროს ფარგლებში სხვა დეტალური სფეროს შესაბამის სხვადასხვა კვალიფიკაციებზე.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ირიბ (გამოკითხვები) და პირდაპირ შეფასებას (ქულობრივი გაზომვადი). პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია მოითხოვს დახვეწას, რათა შესაძლებელი იყოს შეფასდეს ყოველი სწავლის შედეგი ცალ-ცალკე.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინსტრუქცია რომელსაც იყენებს შეფასების შედეგების გამოსაყენებლად პროგრამის გასაუმჯობესების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

- შეიცვალოს ძირითადი და არჩევითი საგნების თანაფარდობა, ძირითად საგნებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის საგნების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე;
- ნათლად გასწერონ სწავლების მთლიანი პროცესი - მიმართულებების (სამაგისტრო ნაშრომის) არჩევა და ამით ასარჩევი საგნების შეზღუდვის არაცხადი პროცედურა.
- შემუშავდეს სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული შედეგის მიღწევადობის შეფასებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი მეთოდოლოგიაში შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს

თითოეული შედეგის შესაბამისად. უნდა გაიწეროს რომელი ინდიკატორი, რომელ შედეგს აფასებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილ პროგრამაში პროგრამაზე დაშვების პირობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: „აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციის და დირექტორის ბრძანების საფუძველზე“.</p> <p>პროგრამა ახალია და არ ჰყავს სტუდენტი, მაგრამ მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ გასაუბრება ძირითადად იყო ზოგადი ხასიათის ამავე უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულების კურსდამთავრებულთათვის (არგუმენტი: დაწესებულებისათვის უკვე ცნობილი იყო მათი აკადემიური მოსწრება, ხოლო სხვა პროგრამებისა და სხვა უნივერსიტეტებიდან მოსულ კანდიდატებს გასაუბრებაზე დაუსვეს სპეციალობასთან დაკავშირებული შეკითხვები, თუმცა ნიშნით შეფასება არ ყოფილა.</p> <p>დაშვების პირობა ზოგადია უნდა მიეთითოს ინგლისურ ენაში რომელი დონის შესაბამისი გამოცდაა მოთხოვნილი, ხოლო სპეციალობის გამოცდა დარგის რომელ არეებს ან თემებს მოიცავს. ასევე განისაზღვროს მაქსიმუმ რამდენი ქულით ფასდება გამოცდა და რამდენი ქულა ითვლება დადებით შეფასებად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა • ინტერვიუ მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება • უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მიეთითოს ინგლისურ ენაში რომელი დონის შესაბამისი გამოცდაა მოთხოვნილი; ○ განისაზღვროს სპეციალობის გამოცდის დარგის არეები ან თემები; ○ განისაზღვროს გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა და დადებით შეფასების ზღვარი. ○ გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი „ერთიანი სამაგისტრო გამოცდები“ ჩანაცვლდეს „საერთო სამაგისტრო გამოცდა“.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციით რომლის თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის დირექტორის ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს. სკოლის საბჭოზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.</p> <p>პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი. პროგრამის 120 კრედიტი შედგება პროგრამის ძირითად საგნები 30 ECTS, პროგრამის არჩევით საგნები 60 ECTS; სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS). ასერჩევად შემოთავაზებული არჩევითი საგნების საერთო რაოდენობა შეადგენს 246 ECTS.</p> <p>პროგრამის ძირითად საგნებს არ გააჩნიათ წინაპირობები, მათი შეთავაზება ხდება პირველ სემესტრში. ასევე არ გააჩნიათ წინაპირობა არჩევითი საგნების უმრავლესობას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ფინალურ ეტაპს, შესაბამისად 90 კრედიტის</p>

დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ეძლევა სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრაციის შესაძლებლობა ხუთი განსხვავებული მიმართულებით:

1. მრავალდონიანი აპლიკაცია, რომლის ერთ დონეს წარმოადგენს (მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა; მობილური აპლიკაცია; გარე მოწყობილობაზე წვდომის მოდული;) აპლიკაცია, სადაც იმპლემენტირებულია რაიმე ალგორითმი ან მონაცემთა სტრუქტურა და ეს იმპლემენტაცია წარმოადგენს სიახლეს სამეცნიერო თვალსაზრისით.
2. კორპორატიული ტიპის ქსელების, საბანკო ქსელების, ინტერნეტ პროვაიდერების მიმართულებით (დიზაინი და დაგეგმარება; ავტომატიზაციის გადაწყვეტილებების შემუშავება; დიაგნოსტიკა და პრობლემების აღმოჩენა)
3. ბლოკჩეინზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები/სისტემები საჯარო მმართველობასა (eGov) და კერძო სფეროში;
4. ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მიმართულებაში იმ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად რომელიც ფართოდ გამოიყენება საფინანსო და სადაზღვევო სექტორებში რისკების შესაფასებლად და მარკეტინგული კვლევების წარმართვისათვის;
5. IT მენეჯმენტის მიმართულებით (IT მმართველობა კომერციულ და სახელმწიფო სექტორში სექტორში; პროექტების მართვის მეთოდოლოგიების შედარებითი ანალიზი; IT სერვისების მართვის დანერგვის მეთოდოლოგიის შემუშავება;

პროგრამის სტრუქტურიდან და არჩევითი საგნების სიმრავლიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდენტის მიერ არჩეული საგნების და განსხვავებული მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის არჩევით სხვადასხვა სტუდენტი შესაძლებელია გავიდეს სხვადასხვა კომპეტენციაზე - სხვა დეტალური სფეროს შესაბამის სხვადასხვა კვალიფიკაციებზე (მათ შორის საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესაბამისად).

პროგრამის შინაარსი და ბუნდოვანი სტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამები;

რეკომენდაციები:

- შეიცვალოს ძირითადი და არჩევითი საგნების თანაფარდობა, ძირითად საგნებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის საგნების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე;
- დაემატოს საგნებს წინაპირობები;
- არჩევითი საგნების არჩევას დაედოს პირობები სხვა პროგრამის კომპეტენციაზე გასვლის შესაძლებლობის შესაზღვრად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სტუდენტის არჩევანის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიძლება მიუღწეველი იყოს ყველა შედეგი ცალკეული სტუდენტებისათვის.</p> <p>სასწავლო მასალა თანამედროვეა და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან.</p> <p>სილაბუსებში არის ბევრი ტექნიკური უზუსტობა საკონტაქტო საათებთან და წინაპირობებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გამოსასწორებენ ამ ტექნიკურ უზუსტობებს. ყველა კურსი არის 6 კრედიტიანი, თუმცა ზოგ საგანს აქვს 180 საათი დატვირთვა, ზოგს 150. განსხვავებულია სააუდიტორიო დატვირთვა. ლექტორებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თითონ წყვეტენ თუ რამდენი საათი იყოს მათი კურსი. დატვირთვის საათების რაოდენობა სრულად შეესაბამება კურსის შიგთავსს და კრედიტების რაოდენობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა; • დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსები

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზები, უნივერსიტეტის მიერ ერთი კრედიტის შესაბამისი საათების შეთანადების გათვალისწინებით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მრავლად ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს - ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია ჩაატაროს პრაქტიკული, კვლევითი და სხვა სახის სამუშაოები.</p> <p>ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შეუძლებელია ამ კომპონენტის ძირეულად შეფასება, თუმცა მოგვაწოდეს მონათესავე დარგიდან ერთი სამაგისტრო ნაშრომი, დაცული</p>

<p>2019 წელს, რომელიც არ იყო მთლად კარგად სტრუქტურულად გამართული. კერძოდ, არ შეიცავდა შესავალს, სადაც იქნებოდა პრობლემის აღწერა, ლიტერატურის მიმოხილვა და სხვა. აგრეთვე ნაშრომში არ იყო ციტირებული გამოყენებული ლიტერატურა, თუმცა ნაშრომის ბოლოს იყო წარმოდგენილი ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც სჭარბობდა გასულ საუკუნეში გამოქვეყნებული სტატიები.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები სამაგისტრო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, რომელსაც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები არ აკმაყოფილებდნენ), ამ დებულებებში მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა.</p> <p>უნდა მოხდეს არსებული დებულების შევსება ან პროგრამის ფარგლებში უშუალოდ მისთვის შეიქმნას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ყველა შინაარსობრივი, ფორმალური და ტექნიკური ელემენტების აღწერით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო ნაშრომის არსებული დებულება შეიცვოს სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო სტრუქტურის აღწერით ან პროგრამის ფარგლებში შეიქმნას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ყველა შინაარსობრივი, ფორმალური და ტექნიკური ელემენტების აწერით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც ღარის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში აღწერილ საგნებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად, გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერიტი მუშაობის, დემონსტრირების, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, შედარებითი მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
